კლასტერული რუკა

მოსწავლეები ავსებენ ,,კლასტერულ რუკას'' ახალი ლექსიკური ერთეულის შესასწავლად ან უკვე ნაცნობი სიტყვის/ცნების მნიშვნელობის სიღრმისეულად გასააზრებლად.



კლასი: II-VI

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები, მთელი კლასი.

რესურსი: დაფა, ცარცი/მარკერი, ფურცელი.

მსვლელობა

I ეტაპი (ტექსტის წაკითხვამდე)

- მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, სამი წუთის განმავლობაში ინდივიდუალურად ჩამოწერონ სულ მცირე სამი რამ, რაც იციან მითითებულ ცნებაზე (მაგალითად, ცხენთევზაზე).
- სამი წუთის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, თავიანთი ჩამონათვალი გაუზიარონ მეწყვილეს და შეაჯერონ საკუთარი ნააზრევი.
- მასწავლებელი თითოეული წყვილის პასუხებს თავად წერს დაფაზე ან დიდი ზომის ფურცელზე.
- მახასიათებელთა/თვისებათა დაფაზე ჩამოწერის შემდეგ მოსწავლეები იწყებენ ისეთ მახასიათებელთა/თვისებათა შერჩევას, რომლებიც რაღაც ნიშნით ერთ ჯგუფში/კატეგორიაში შეიძლება გაერთიანდეს (მაგ., მწვანე, პატარა, აქვს ქერცლი - ეს თვისებები გაერთიანდება კატეგორიაში ,,გარეგნობა''). ასე შეიქმნება მახასიათებელთა რამდენიმე სვეტი თავიანთი დასათაურებით (სვეტების სათაურები შეიძლება იყოს: ,,საბინადრო ადგილი'', ,,კვება'', ,,გამრავლება'' და სხვ.).
- მახასიათებელთა სვეტებად ჩამოწერის შემდეგ მასწავლებელი იწყებს ,,კლასტერული რუკის'' შექმნას დაფაზე ან დიდფორმატიან ქაღალდზე. ,,კლასტერული რუკის'' შუაში, წრეში, იწერება ის ცნება, რომელზეც ივსება სქემა, ხოლო მასთან ხაზებით დაკავშირებულ წრეებში – ჯგუფის სახელები (კატეგორიები) კონკრეტულ მახასიათებლებთან ერთად. (ნიმუში იხ. ქვემოთ)
- დაფაზე შექმნილ ,,კლასტერულ რუკას'' მოსწავლეები თავიანთ რვეულებში გადაიხაზავენ.

II ეტაპი (ტექსტის წაკითხვის შემდეგ)

- ტექსტზე მუშაობის შემდეგ მოსწავლეები ჩაასწორებენ ან ჩაამატებენ ინფორმაციას პირველად შექმნილ რუკაში.
- განახლებული ჩამონათვალის გათვალისწინებით, ბავშვები შეასწორებენ (დაამატებენ ან მოაკლებენ მახასიათებლებს) სვეტებსაც. ბოლოს კი მიუბრუნდებიან საკუთარ რვეულებში გადატანილ ,,კლასტერულ რუკას'' და დაასრულებენ მის შევსებას.

აქტივობის ვიდეოვერსია

შევსებული ნიმუში:



გარეგნობა	კვება	...	...	...